საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-10/92

ქ. ბათუმი 06 სექტემბერი, 2022 წ.

2022 წლის სექტემბერში ჩასატარებელი ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსისათვის საკონკურსო/საპროცედურო კომისიებისა და სამუშაო (საკონსულტაციო) ჯგუფის წევრების შრომის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, ბსუ–ს წესდების მე–15 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთავლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუს რექტორის 2022 წლის 01 აგვისტოს N01-02/189 ბრძანების, „2022 წლის სექტემბერში ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების შესარჩევი კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 30 აგვისტოს N01-02/212 ბრძანების, „2022 წლის სექტემბერში ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარებისათვის საკონკურსო და სააპელაციო კომისიების შექმნის **შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 6 სექტემბრის N06-01/77** დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2022 წლის სექტემბერში ჩასატარებელი ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსისათვის საკონკურსო/საპროცედურო კომისიებისა და სამუშაო (საკონსულტაციო) ჯგუფის წევრების შრომის ანაზღაურება განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

1.1. საკონკურსო კომისიის წევრისათვის (მოწვეულები თსუ-დან და აწსუ-დან) - ერთჯერადად 1000 ლარი;

1.2. საპროცედურო კომისიის წევრისათვის და სამუშაო (საკონსულტაციო) ჯგუფის წევრისათვის - ერთჯერადად 250 ლარი.

2. საკონკურსო კომისიის მოწვეულ წევრებთან (თსუ-დან და აწსუ-დან) შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების ორგანიზება უზრუნველყოს საქმისწარმოების სამსახურმა (კანცელარია).

3. წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურების გაცემის შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება მომზადდეს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) უფროსის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

4. წინამდებარე ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძეს), რექტორის აპარატს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საპროცედურო/საკონკურსო და საკონსულტაციო კომისიის წევრებს.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ი. ჩხარტიშვილი**